



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
 ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
 MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS FROM THE OCCUPIED
 TERRITORIES, LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური
 LEPL LABOUR INSPECTION OFFICE



KA030435362113821

საქართველო, თბილისი 0119, აკ. წერეთლის გამზ. 144; ცხელი ხაზი 1505; ელ.ფოსტა: infolio@moh.gov.ge
 144 Ak. Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Hot line 1505; E-mail: infolio@moh.gov.ge

№ 36

14 / ივლისი / 2021 წ.

ი.მ. სარი გაჯიევს
 მისამართი, გარდაბნის რაიონი, სოფელი მულანლო

დადგენილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე

საჩივრის ავტორი - ი.მ. სარი გაჯიევი;

მოთხოვნის არსი - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გაუქმება;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში 2020 წლის 04 აგვისტოს ი.მ. სარი გაჯიევს მიერ წარმოდგენილ იქნა №82307 საჩივარი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის (შემდგომში - „შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი“) 2020 წლის 27 ივლისის № 001017 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გაუქმების მოთხოვნით.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 26 ნოემბრის № 01-119/ნ ბრძანების მე-2 პუნქტის თანახმად, სსიპ – შრომის ინსპექციის სამსახური განისაზღვრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის უფლებამონაცვლედ, აღნიშნული ბრძანების მე-4 პუნქტის თანახმად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 26 ნოემბრის № 01-119/ნ ბრძანების მე-2 პუნქტი ამოქმედდა 2021 წლის 1 იანვრიდან.

საჩივარზე გარემოებათა გამოკვლევისა და დაინტერესებულ მხარეთა მიერ მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით, საკითხთან დაკავშირებით 2021 წლის 31 მაისს გაიმართა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საჩივრების განმხილველი კომისიის“ (შემდგომში - „საჩივრების განმხილველი კომისია“) მეპირი მოსმენის სხდომა, რომელზეც გამოცხადდნენ: საჩივრის ავტორი, ი.მ. სარი გაჯიევი ასევე, მონინაალმდეგე მხარის, სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის შრომის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის სამშენებლო სექტორის სამმართველოს უფროსი მაია მიქაია.

წარმოდგენილ საჩივრით ი.მ. სარი გაჯიევი დაეთანხმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს, და განმატა, რომ ოქმში მითითებული ყველა დარღვევა მის მიერ აღმოფხვრილ იქნა მაქსიმალურად შეძენილი ვადებში, ითხოვს მის მიმართ გამოყენებულ იქნეს სიტყვიერი შენიშვნა.

მონინაალმდეგე მხარის, სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის წარმომადგენელი არ დაეთანხმა წარმოდგენილ საჩივარს და განმატა, რომ ი.მ. სარი გაჯიევს მიერ ჩადენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42¹⁰ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა, კერძოდ, დარღვეულ იქნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/თ ბრძანების დანართი №19-ით დამტკიცებული „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონეულ ინფექციასთან (COVID-19)

დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები საცალო-საბითუმო ვაჭრობისთვის“ რის გამოც იგი დაჯარიმდა 2 000 (ორი ათასი) ლარით. მან დამატებით განმარტა, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი კანონიერია და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

მოცემულ საქმეზე დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების მოსმენის, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების, წარმოდგენილი საქმის მასალების გამოკვლევის შემდეგ, ადმინისტრაციული ორგანო მივიდა დასკვნამდე, რომ ი.მ სარი გაჯივის საჩივარი უნდა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

უდავო გარემოებაა, რომ 2020 წლის 25 ივლისს „შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის სპეციალისტების მიერ შემოწმებულ იქნა შპს ი.მ სარი გაჯივის ობიექტი, რომლის საფუძველზეც შედგენილ იქნა შემოწმების აქტი ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული, „საცალო და საბითუმო ვაჭრობისთვის“ ზოგადი რეკომენდაციების დაუკმაყოფილებლობის თაობაზე.

ასევე უდავო გარემოებაა, რომ შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის 2020 წლის 27 ივლისის №0001017 ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმით ი.მ სარი გაჯივი დაჯარიმებულ იქნა 2 000 (ორი ათასი) ლარით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის № 01- № 01-227/ო ბრძანების დანართი № 19-ით დამტკიცებული „ახალი კორონავირუსით(SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციების (ბაზრობებისთვის) დარღვევისთვის, კერძოდ, ობიექტზე არ ხდებოდა დასაქმებულებისთვის და მესამე პირებისთვის ინფორმაციის მიწოდება ვირუსთან დაკავშირებით ყველა საკითხზე; სავაჭრო ობიექტის სივრცეში არ იყო განთავსებული ინფორმაცია ჰიგიენური საშუალებების დაცვის წესის შესახებ, მათ შორის ხელის დაბანის, ნიღბის მორგების, მისი ტარებისა და მოხსნის შესახებ; არ იყო დაცული მინიმუმ 2 მეტრიანი დისტანცია დასაქმებულებსა და მომხმარებლებს შორის; განთავსებული არ იყო ხელის სადებიზფექციო სულ მცირე 70 % ალკოჰოლის შემცველი ხსნარი; ობიექტზე განთავსებული არ იყო დახურული კონტეინერი ჰიგიენური ნარჩენებისთვის; არ გამოიყენებოდა სანიტარული შესვენება, არ ხდებოდა საშუალო ადგილების სველი წესით დასუფთავება; ობიექტზე ხელმისაწვდომი არ იყო ხელის ჰიგიენური საშუალებები დასაქმებულთა და მესამე პირებისთვის; ობიექტზე განთავსებული არ იყო დახურული კონტეინერი ჰიგიენური ნარჩენებისთვის.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პირველი მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახდელი, რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ და რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს. ამავე კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელშეწყობის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა“.

ამავე კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, „არავის არ შეიძლება შეეფარდოს ზემოქმედების ზომა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო, თუ არა კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს აწარმოებენ კანონიერების მკაცრი დაცვის საფუძველზე. საამისოდ უფლებამოსილი ორგანოები და თანამდებობის პირნი ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომებს შეუფარდებენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის ბუსტი შესაბამისობით“.

მითითებული სამართლებრივი ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ ფიზიკური ან იურიდიული პირის ქმედების სამართალდარღვევად დაკვალიფიცირებისათვის უნდა არსებობდეს შემდეგი კუმულაციური ფაქტობრივ-სამართლებრივი წინამძღვრები: სახეზე უნდა იყოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელშეწყობის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლობის დაკისრება კი უნდა მოხდეს კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის სამართავად „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45³ მუხლით დადგენილ იქნა, რომ იზოლაციის ან/და კარანტინის წესს ადგენს საქართველოს მთავრობა ან საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სამინისტრო.

ხსენებული უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის № 322 დადგენილებით (შემდგომში - „№ 322 დადგენილება“) დამტკიცებულ იქნა „იზოლაციისა და კარანტინის წესები“, რომლის პირველი მუხლის თანახმად, „ამ დადგენილების მიზანია, ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების პრევენციისთვის, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული იზოლაციისა და კარანტინის წესების, ასევე, ქვეყნის მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხის შემცირებისა და ეპიდემიოლოგიური სიტუაციის სამართავად შესაბამისი ღონისძიებების განსაზღვრა.“

ამრიგად, აღნიშნული ღონისძიებები, რომლებიც დროებით გამოიყენება პანდემიის ან/და საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით საშიში ეპიდემიის დროს, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, შეიძლება გულისხმობდეს საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილისგან განსხვავებულ მონესრიგებას, მათ შორის, შესაბამისი შეზღუდვების დროებით დაწესებას, საჯარო დაწესებულებების, აღმასრულებელ ხელისუფლებაში შემავალი სხვა დაწესებულებების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სხვა იურიდიული პირების საქმიანობასთან/ადმინისტრირებასთან, საჯარო სერვისების მიწოდებასთან, პირთა მიმოსვლასთან, საკუთრებასთან, შრომასთან, პროფესიულ ან ეკონომიკურ

საქმიანობასთან, უკანონო მიგრაციასთან/საერთაშორისო დაცვასთან ან/და სოციალური ღონისძიებების ჩატარების მიზნით პირთა თავშეყრასთან დაკავშირებით.

განსახილველ შემთხვევაში, №322 დადგენილების მე-6 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, „ყველა ეკონომიკური საქმიანობა უნდა განხორციელდეს ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, არანაკლებ 2 მეტრის სოციალური დისტანციის დაცვითა და პირბადით, „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების შესაბამისად. ამავე დადგენილების მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის პირველი აბზაცის თანახმად კი - „შრომის ინსპექციის სამსახურს, როგორც სამუშაო ადგილების, დასაქმებულთა, დამსაქმებელთა და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირთა უსაფრთხოების ძირითად მაკონტროლებელს, მიეცეს უფლება, ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, უშუალოდ ან ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უწყებების დახმარებით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განხორციელოს კონტროლი სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულებაზე.“

ხსენებული სამართლებრივი დანაწესების გათვალისწინებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის № 01-227/ო ბრძანებით დამტკიცებული რეკომენდაციები ნარმოადგენს შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონე იმპერატიულ დებულებებს, რომელთა განხორციელებაზე მონიტორინგს ახორციელებს სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური, ამავე დადგენილების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის უწყებების დახმარებით.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ სარი გაჯივის ობიექტის შემონგება განხორციელდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის № 01-227/ო ბრძანების დანართი № 11-ით დამტკიცებული „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული, „საცალო და საბითუმო ვაჭრობისთვის“ ზოგადი რეკომენდაციების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

სადავო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით დგინდება, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ ობიექტის გადამოწმების შედეგად გამოვლენილ იქნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის № 01-227/ო ბრძანების დანართი № 19-ით დამტკიცებული „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციების (ბაზრობებისთვის) დარღვევისთვის, კერძოდ, ობიექტზე არ ხდებოდა დასაქმებულებისთვის და მესამე პირებისთვის ინფორმაციის მიწოდება ვირუსთან დაკავშირებით ყველა საკითხზე; სავაჭრო ობიექტის სივრცეში არ იყო განთავსებული ინფორმაცია ჰიგიენური საშუალებების დაცვის წესის შესახებ, მათ შორის ხელის დაბანის, ნიღბის მორგების, მისი ტარებისა და მოხსნის შესახებ; არ იყო დაცული მინიმუმ 2 მეტრიანი დისტანცია დასაქმებულებსა და მომხმარებლებს შორის; განთავსებული არ იყო ხელის სადებინფექციო სულ მცირე 70 % ალკოჰოლის შემცველი ხსნარი; ობიექტზე განთავსებული არ იყო დახურული კონტეინერი ჰიგიენური ნარჩენებისთვის; არ გამოიყენებოდა სანიტარული შესვენება, არ ხდებოდა სამუშაო ადგილების სველი წესით დასუფთავება; ობიექტზე ხელმისაწვდომი არ იყო ხელის ჰიგიენური საშუალებები დასაქმებულთა და მესამე პირებისთვის; ობიექტზე განთავსებული არ იყო დახურული კონტეინერი ჰიგიენური ნარჩენებისთვის.

აღნიშნულ დარღვევებთან მიმართებით, ადმინისტრაციული ორგანო იძველიებს დანართი №11-ით და №19-ით დამტკიცებული რეკომენდაციების („ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები (ბაზრობებისთვის, საცალო და საბითუმო ვაჭრობისთვის) რიგ მოთხოვნებს: (1) თვალსაჩინო ადგილას განათავსეთ ინფორმაცია როგორც ახალი კორონავირუსის, ასევე მოვაჭრეთა და მომხმარებელთა ვალდებულებების შესახებ; (2) დასაქმებულებს და სხვა პირებს მიანოდეთ ინფორმაცია COVID-10 ვირუსთან დაკავშირებული ყველა საკითხისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ (შესაძლებელია აუდიო ვიდეო სისტემის მეშვეობით); (3) განათავსეთ ჰიგიენური საშუალებებით დაცვის ღონისძიებების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია სათანადო ადგილას, მათ შორის ხელის დაბანის, ნიღბის მორგების, ტარების და მოცილების წესები; (4) უზრუნველყავით მომხმარებელთა/ მყიდველთა შორის სოციალური დისტანციის დაცვა არანაკლებ 2 მ მანძილზე; (5) დაიცავით დისტანცია (მინ. 2 მეტრი) დასაქმებულებსა და მომხმარებლებს შორის; (6) სამუშაო ადგილებზე უზრუნველყავით ხელის პერიოდული დებინფექციისთვის საჭირო სულ მცირე, 70% ალკოჰოლის შემცველი ხელის დასამუშავებელი (7) ინდივიდუალური სავაჭრო ფართით მოსარგებლე პირმა შესასვლელში უზრუნველყავით ხელის ანტისეპტიკური საშუალებების განთავსება; (8) უზრუნველყავით მოვაჭრე პერსონალისა და მომხმარებლის მიერ გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება, სათანადო აღნიშვნით, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი. ნარჩენების პარკის ამოღება და განკარგვა მოახდინოს ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით. უზრუნველყოს ასეთი ნარჩენების დროული გატანა შესაბამისი პირის/ სამსახურის მიერ; (9) ობიექტზე უზრუნველყავით დასაქმებულთა/ ვიზიტორთა მიერ გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი. ნარჩენების პარკის ამოღება და განკარგვა მოახდინონ ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით. კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს ასეთი ნარჩენების დროული გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ. (10) მუშაობის მიმდინარეობისას, სამუშაო დროის განმავლობაში დაანესეთ სანიტარული შესვენებები; (11) თვალსაჩინო ადგილას განათავსეთ ხელის ჰიგიენური საშუალებები და მათი სწორად მოხმარების წესები; (12) უზრუნველყავით დასაქმებულთა და ვიზიტორთა წვდომა ხელის ჰიგიენურ საშუალებებთან; (13) უზრუნველყავით სამუშაო ადგილების სველი წესით დასუფთავება და დებინფექცია; (14) უზრუნველყავით სამუშაო სივრცეში ზედაპირების დასუფთავება/ დებინფექცია სათანადო წესით, (დაბინძურების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ დღეში 3-ჯერ),

განსახილველ შემთხვევაში, საქმეში არსებული კითხვარის და შემონგების აქტის ურთიერთმჭკერების შედეგად, დადგენილ იქნა რომ ი.მ სარი გაჯივის მიერ მიმდინარეობდა ეკონომიკური სანარმო საქმიანობა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანებით დამტკიცებული რეკომენდაციების მოთხოვნათა დაუცველად. ამასთან, საქმეში არ იქნა წარდგენილი დარღვევის შესრულების დამადასტურებელი/დარღვევის შეუსრულებლობის გამომრიცხველი შესაბამისი დოკუმენტაცია, აღნიშნული ცალსახად მიუთითებს გასაჩივრებულ ოქმში მითითებული ფაქტების სისწორეზე, რაც კანონმდებლობის თანახმად, სამართალდარღვევაზე პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს წარმოადგენდა.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42¹⁰ მუხლის თანახმად, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით დადგენილი იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დარღვევა გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2 000 ლარით, ხოლო იურიდიული პირისა – 10 000 ლარით.“

საქმეში წარმოდგენილ დოკუმენტაციებზე დაყრდნობით, საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო დადგენილ გარემოებად მიიჩნევს, რომ ი.მ სარი გაკვივის მიერ რეკომენდაციების დარღვევის ფაქტს. მოცემული გარემოებების მხედველობაში მიღებით, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო მიიჩნევს, რომ სახეზეა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42¹⁰ მუხლის ფაქტობრივი შემადგენლობა. შესაბამისად, არსებობდა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ გასაჩივრებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისა და სს ი.მ სარი გაკვივის 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით დაჯარიმების სამართლებრივი საფუძველი.

ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ ახალი კორონა ვირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ადმინისტრაციული სახდელის გამოყენების მთავარ მიზანს წარმოადგენს პრევენციული და აღმზრდელობითი ღონისძიებების განხორციელება, რათა შემდგომში თავიდან იქნას აცილებული ინფექციის გავრცელების საშიშროება. ასევე ორგანო მიიჩნევს, რომ ნაკლებად მკაცრი სახის სახდელი, როგორცაა გაფრთხილება, ვერ უზრუნველყოფს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის აღსაზრდელად სამინისტროს რეკომენდაციების დაცვას. მხოლოდ სიტყვიერი შენიშვნით შესაძლოა სტიმული მიეცეს მეტად სახიფათო პრეცედენტის შექმნას ახალი კორონა ვირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან მიმართებით ბრძოლის ფარგლებში და გადაცდომის ჩამდენი პირების მიმართ, ადმინისტრაციული ზემოქმედების შესაბამისი ზომების გატარების მიუხედავად მიუღწეველი დარჩეს როგორც ადმინისტრაციული სახდელის, ასევე ზოგადად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კანონმდებლობის მიზნები და ამოცანები.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 278-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „საჩივრის ან პროტესტის განხილვისას ორგანოს (თანამდებობის პირს) გამოაქვს გადაწყვეტილება დადგენილების უცვლელად დატოვებისა და საჩივრის ან პროტესტის დაუკმაყოფილებლად დატოვების შესახებ“.


საკითხის სრულყოფილად შესწავლის შედეგად, ადმინისტრაციული ორგანო მიიჩნევს, რომ საჩივრის განხილვის ეტაპზე არ გამოკვეთილა რაიმე ისეთი გარემოება, რომელიც გახდებოდა სადავო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გაუქმების საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებისა და „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად, ადმინისტრაციულმა ორგანომ

და ა დ გ ი ნ ა:

- 1.არ დაკმაყოფილდეს ი.მ სარი გაკვივის 2020 წლის 04 აგვისტოს №82307 საჩივარი.
- 2.უცვლელად/ძალაში დარჩეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის 2020 წლის 27 ივლისის №001017 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.
- 3.დადგენილების ასლები გადაეგზავნოთ დაინტერესებულ მხარეს.
- 4.დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის მთავარი
შრომის ინსპექტორი

ხელმოწერილია/
შტამვდასმულია
ელექტრონულად 

ბექა ფერაძე